



№ 01-11/560

„09“ დეკემბერი 2013 წ

საქართველოს პრეზიდენტს  
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის ანგარიშს, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესრულების თაობაზე.

დანართი 1 (ერთი) ფურცლი.

პატივისცემით,  
ცენტრის უფროსი  
რატი ბრეგაძე



სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესრულების თაობაზე.

2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრში“ სულ რეგისტრირებულია 10 იურიდიული პირის განცხადება, შემოსული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წერილებზე თანდართვით და 1 მოქალაქის განცხადება.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, წარდგენილ იქნა პასუხი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსადმი საჯარო ინფორმაციის 10 მოთხოვნაზე და მოქალაქის 1 განცხადებაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უარის თქმის თაობაზე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ 2013 წელს არცერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის №80 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ელექტრონული ფორმით გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია, ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მათავარი საქმის მწარმოებლის მოვალეობის შემსრულებელი ასმათ ჯელია. 2013 წლის 29 ნოემბრის №81 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკა კალაძე.

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართის მე-2 ნაწილის 2.4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 10 დეკემბრის ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.cync.ge](http://www.cync.ge) საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში.